საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 21 0000807935

20/08/2021

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან„ არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 2 - ე და მე - 5 პუნქტების შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური/არაგეგმიური მონიტორინგის თაობაზე. ასევე, აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 26 - ე პუნქტის მიხედვით, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე ცენტრისათვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, საბჭო განსაზღვრავს მონიტორინგის განხორციელების პერიოდს, მონიტორინგის განხორციელების ფორმას და მონიტორინგის ფარგლებს. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცენტრი აკონტროლებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულებას.

1.6. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 15 ივნისის №575226 და №570505 წერილებით წარმოდგენილ იქნა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 22 ივნისის N614487 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 02 ივლისის №666123 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2021 წლის 22 და 23 ივლისს. ხოლო 2021 წლის 03 აგვისტოს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	•			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის		•		

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		•		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		•		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 6 აგვისტოს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება, კერძოდ, მე - 5 სტანდარტები ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე - 2, მე - 5 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 30 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ

„მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.
2. ცნობილ იქნეს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნეს საბჭოს 2021 წლის 20 აგვისტოს №807830 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები

4.1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესის მონიტორინგის პროცესები გახდეს მკაფიო;
4.2. რეკომენდებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი;
4.3. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და გამახვილდეს ყურადღება სტუდენტის პროფესიონალიზმის, როგორც კომპეტენციის გამომუშავებაზე;
4.4. რეკომენდებულია, სიზუსტისა და თანამიმდევრულობის მიზნით, გადაიხედოს და სადაც საჭიროა შესწორდეს სილაბუსებში ასახული ინფორმაცია საათობრივი განაწილების შესახებ;
4.5. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო მოდულების (კურსების) წინაპირობები;
4.6. სილაბუსებში უნდა გადაისინჯოს სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები: შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს და უნდა შეფასდეს თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი;
4.7. რეკომენდებულია მოძველებული წიგნები ჩანაცვლდეს ახალი გამოცემებით. იმ შემთხვევაში, თუკი ქართულენოვანი ლიტერატურა არ არის გამოცემული, საჭიროა მომზადდეს ე.წ. „ჰენდაუთები“ როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით;
4.8. რეკომენდებულია გადაიხედოს სავალდებულო და არჩევითი კურსები (მაგ. ტუბერკულოზი, მეტაბოლური და პლასტიკური ქირურგია და სხვა);
4.9. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები (მაგ. შესავალი პროფესიაში, კლინიკური უნარები 1-5), რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტისთვის ეთიკური და სამართლებრივი საკითხების ცოდნისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარზე და მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სწავლებისა და შეფასების მეთოდები კლინიკური სწავლების დროს;
4.10. სტუდენტთა შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს თითოეული კურსის სწავლის შედეგებს;
4.11. კლინიკურ უნარების შეფასების მიზნით რეკომენდებულია OSCE გამოცდების სრულყოფა თანამდროვე მოთხოვნების შესაბამისად და ჩატარდეს აკადემიური პერსონალის შესაბამისი ტრენინგი;
4.12. რეკომენდირებულია, დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმები 360-გრადუსით შეფასების მეთოდში, განისაზღვროს მისი შესატყვისობა სწავლის შედეგებთან და გადამზადდეს ყველა მონაწილე შემფასებელი;
4.13. უნივერსიტეტმა უნდა განამტკიცოს საერთაშორისო კავშირები; შექმნას უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისა და პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა;
4.14. რეკომენდირებულია განხორციელდეს აკადემიური პერსონალის რეგულარული ტრენინგები სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში (სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები);
4.15. რეკომენდებულია, OSCE საგამოცდო ცენტრის შემდგომი განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს OSCE გამოცდების გაფართოება პროგრამის ფარგლებში დამატებითი ასპექტებისთვის;

4.16. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ყურადღება გაამახვილოს თანამედროვე შეფასების მეთოდების სრულყოფაზე და დანერგვაზე;
4.17. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

1. სასურველია, საუნივერსიტეტო გამოცდების მეშვეობით, განისაზღვროს იმ საგნების საბაზისო ცოდნა, რომლებიც საჭიროა აბიტურიენტებისთვის (მათთვის ვინც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე) მედიცინის პროგრამაზე სასწავლებლად, მაგალითად ბიოლოგიის ან ქიმიის საგნების;
2. მოძველებული წიგნების საკითხი გარდაუვალად წარმოადგენს პერიოდულ პრობლემას და იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სტუდენტებისგან მოითხოვს საბაზისო კვლევითი უნარების სწავლას (GCP NIDA სასწავლო ონლაინ პლატფორმის მეშვეობით, რომელიც ინგლისურენოვანია) და რომ მედიცინის სამყაროში არსებული ლიტერატურა უმეტესად ინგლისურენოვანია, სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ განივითარონ ინგლისური ენის ცოდნის უნარები, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს წაიკითხონ ლიტერატურა ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გარდა, რამდენადაც ეს უკანასკნელნი დიდი ალბათობით, მალე მოძველდება და ნაკლებად ზუსტი იქნება სამედიცინო ცოდნისა და კლინიკური პრაქტიკის თვალსაზრისით;
3. კლინიკების მიერ სათანადო რაოდენობის პაციენტებზე წვდომის დაშვების შესაძლებლობა ყველა კლინიკური საგნის მასშტაბით შესაძლოა შეიცვალოს ინტეგრირებული კურიკულუმის შემდგომ განვითარებასთან ერთად და სასურველია უნივერსიტეტი ყურადღებით განიხილავდეს ამ საკითხს;
4. მეტი ყურადღება დაეთმოს სწავლებას პირველადი ჯანდაცვის დონეზე და ამბულატორიულ პრაქტიკაში;
5. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სასურველია განიხილოს პროგრამის საწყის ფაზაში მიღწევების შესამოწმებლად ესეების გამოყენების საკითხი და ნაცვლად ამისა, დანერგოს ონლაინ შეფასებები, მრავალარჩევითიანი SBA/EMI შეფასებების ფორმატით. ეს შესაძლებელს გახდის უფრო ზუსტად შემოწმდეს სტუდენტის ცოდნა და ცოდნის გამოყენება და გაზრდის სხვადასხვა მოდულებით მოპოვებული ცოდნის ინტეგრირებას. დამატებითი სარგებელი არის ის, რომ ქულების მინიჭების პროცესი შეიძლება გახდეს უფრო ეფექტიანი და ნაკლებ ცვალებადი, რაც საერთო ჯამში გაზრდის სტანდარტიზაციას;
6. უნივერსიტეტმა სასურველია იფიქროს იმაზე, თუ როგორ გახადოს „ჯგუფის კურატორის“ როლი უფრო მკაფიო სტუდენტებისთვის, რათა მოხდეს ასეთი როლის არსებობით განსაზღვრული სარგებლის რეალიზება;
7. არსებული ლაბორატორიების გამოსაყენებლად სხვადასხვა პროგრამებისთვის დადგენილი უნდა იყოს გრაფიკი;
8. პროგრამის საწყის ფაზაში შეფასებების სახით ესეების გამოყენება უნდა იყოს ხარისხით უზრუნველყოფილი ზომიერების პროცესის დანერგვის ხარჯზე, როგორც ინდივიდუალურ მოდულებში, თუკი ფასდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ და ასევე ყველა მოდულის მასშტაბით, თითოეულ სემესტრში;
9. ურთიერთობები, რომლებიც ბსუ-ს აქვს კოლეგებთან სხვა ქართულ სამედიცინო სკოლებში, რომლებიც სთავაზობენ რჩევებს პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში, შესაძლოა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პროგრამაზე ზოგიერთი ამ უფროსი კოლეგის „გარე გამომცდელად“ მოწვევის გზით, რაც შესაძლებელს გახდის რეგულარულ კონტროლს, გაუმჯობესების მიზნით იმ ადამიანებისგან რჩევების მიღებით, რომლებიც მსგავს კონტექსტსა და გარემოში მუშაობენ.

10. რამდენადაც უნივერსიტეტი ცდილობს საკუთარ პროგრამაზე მიიღოს ინფორმაცია და რჩევები უცხოური უნივერსიტეტებიდან, საამისოდ ერთ-ერთი შესაძლო მიდგომა იქნება პერსონალისა და სტუდენტთა მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების მოძიება, იმ მოლოდინით, რომ უნივერსიტეტიდან ამ პროგრამით გაგზავნილი პირები დაბრუნების შემდეგ საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ კოლეგებს.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი (2022 წლის 08 აგვისტომდე);
5.1. მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა 1 წელი (2022 წლის 08 აგვისტომდე)
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 6 აგვისტოს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ